



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49223297

თარიღი:25/11/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №147

სს „სილქნეტი“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების ბოდის (ს/კ 29.00.672, მდებარე ქალაქი წყალტუბო, დედაენის ქუჩა) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 8 ნოემბრის #48-482231217 წერილი, რომელშიც სს „სილქნეტის“ განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას სს „სილქნეტი“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების ბოდის (ს/კ 29.00.672, მდებარე ქალაქი წყალტუბო, დედაენის ქუჩა) გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, სს „სილქნეტი“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების ბოდის (ს/კ 29.00.672, მდებარე ქალაქი წყალტუბო, დედაენის ქუჩა) გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

